დღესასწაულს მოგილოცავთ, ძვირფასო ქალებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ქალებს!

ძვირფასო ქალებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს — პლანეტის ქალების ინტერნაციონალური სოლიდარობის დღესასწაულს!

ეს გაზაფხულის ნათელი დღესასწაული გამსჭვალულია დედა-ქალის, მშრომელისა და სოციალისტური სამშობლოს პატრიოტისადმი ღრმა პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით.

რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, საბჭოეთის შრომითს და საბრძოლო ბიოგრაფიაში წითელ სტრიქონად არის ჩაწერილი ჩვენი სახელოვანი თანამემამულე ქალების სახელები.

დიდმა ოქტომბერმა, ლენინის-პარტიამ პირველად მისცეს ქალს რეალური შესაძლებლობა და გარანტია იმისა, რომ გამხდარიყო საკუთარი ბედის ბატონ-პატრონი, სრულფასოვნად მიეღო მონაწილეობა სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნაში, მას ფართოდ გაეღო განათლების, მეცნიერების, კულტურის, სახელმწიფოს მართვის კარი.

დღეს, რევოლუციური გარდაქმნის პასუხსაგებ პერიოდში, პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპზე მთელი მნიშვნელობით აღიქმება ვ. ი. ლენინის სიტყვები იმის თაობაზე, რომ მხოლოდ ქალის, მისი დაკვირვებულობისა და შეგნებულობის მეშვეობით შეიძლება ახალი საზოგადოების მშენებლობის განმტკიცება.

მუდმივი ყურადღება საბჭოთა ქალების შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისადმი, ბინების, სკოლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, პოლიკლინიკების მშენებლობისადმი, დედისა და შვილის ჯანმრთელობის დაცვისადმი გახდა პარტიის სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება, დღევანდელობის უპირველესი ამოცანა. ქალაქად და სოფლად, საწარმოებსა და საცხოვრებელ მიკრორაიონებში მოქმედმა ქალთა საბჭოებმა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად თანამიმდევრულად უნდა მიაღწიონ მძიმე, ხელის შრომის ლიკვიდაციას, ქალებისათვის ოჯახურ მოვალეობებთან საწარმოო და საზოგადოებრივი საქმიანობის უკეთ შეხამების საჭირო პირობების შექმნას, თვალი ადევნონ დაწესებული შეღავათების შემოღებას, დაეხმაროს მრავალშვილიან დედებს.

სოციალისტური საზოგადოება სისხლხორცეულად არის დაინტერესებული დიდი ზნეობრიობის, როგორც ცხოვრების უცილობელი კანონის ყველგან და ყველაფერში დამკვიდრებით. იგი საჭიროებს დიდ კულტურასა და ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების წესიერებას, ოჯახის განმტკიცებას. იგი ძირითად მეცადინეობას ახმარს ღირსეული, განათლებული, ჯანმრთელი, მაძიებელი, მტკიცე რწმენის მქონე და კომუნისტური იდეალების ერთგული ცალის აღზრდას.

ყველა ამ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური ამოცანის, საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი ატმოსფეროს განახლებაში შეუცვლელია ქალის როლი.

სადღეისოდ შექმნილ ახალ საერთაშორისო ვითარებაში მშვიდობისათვის შებრძოლი ქალების მასობრივი მოძრაობა სულ უფრო გავლენიან ძალად იქცევა. საბჭოთა ქალებს საგრძნობი წვლილი შეაქვთ უბრალოულ იარაღო მსოფლიოსაკენ კაცობრიობის წინსვლის საბჭოთა პროგრამის განხორციელებაში.

ძვირფასო ქალებო!

სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და სიხარულს, წარმატებებს შრომაში, სწავლაში, შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. დაე მტკიცდებოდეს თქვენი ოჯახები, ხოლო თქვენს სახლებში ისმოდეს ბავშვების ბედნიერი სიცილი.

ჭება და დიდება საბჭოთა ქალებს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელი ქალების ერთიანობასა და სოლიდარობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სსრ

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 მარტი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 48 (9715) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პირველი მატჩი, პირველი მღელვარება

„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 2:1 (0:1).

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 7 მარტი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ფირცხალავა (ჯიშკარიანი, 46), ჭედია, ცვეობა, ტყებუჩავა, გუბაზი, სულაქველიძე, ქეცბაია, გურული, მესხი (ფანცულაია, 58).

„ჟალგირისი“: იურკუსი, იაკუბაუსკასი, სუკრისტოვი, მაუეიკასი, იანონისი, პანკრატიევი, ბარანაუსკასი, ივანაუსკასი, ბუზმაკოვი, რასიუკასი, ნარბეკოვასი.

მსაჯი ვ. ბუტენკო (მოსკოვი).

გააფრთხილეს კეტაშვილი.

წლებს თავისი მიაქვს... გუშინ, 51-ე საკავშირო ჩემპიონატის დაწყების წინ, დიდი ფეხბურთიდან საზეიმოდ გააცილეს თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების უოფილი კაპიტანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრე ჩივაძე.

სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის სტარტზე თბილისის „დინამოს“ მეტოქედ ვილნიუსის „ჟალგირისი“ ხვდა წილად. ჩემპიონატის პირველ მატჩს, როგორც წესი, მუდამ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, პირველ თამაშში მოპოვებული წარმატება, მასთან ერთად ორი ქულაც დიდ მორალურ და ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს უშუალოდ ფეხბურთელებზე და მთელს კოლექტივზე, შესაბამისად პერსპექტიულად განაწყობს მაყურებელსაც და გუნდის ქომაგთა ვრცელ საზოგადოებრიობასაც.

ყველაფერი ეს ანბანური საფეხბურთო ჭეშმარიტებაა. მაგრამ აქ კიდევ ერთი ფაქტორია მეტად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი, კერძოდ, ვინა გვყავს პირველ

იხ. მე-3 გვ.

ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲐᲛᲐᲠᲢᲝ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐᲖᲔ

თითქმის მთელ თვეს გასტანს დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე ქალთა საერთაშორისო დღის, 8 მარტისადმი მიძღვნილი თბილისის ქალთა სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობენ წარმოება-დაწესებულებების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ნაკრები გუნდები.

კვირას, პროფკავშირების მძლეოსნობის სასახლეში, ნამდვილი მატრიარქატი სუფევდა. სარბიელი მხოლოდ სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის დაეთმოთ, ქალთა შეჯიბრებას კი მამაკაცები მსაჯობდნენ.

ცხადია, სპარტაკიადა ოლიმპიადა არ არის, მაგრამ მონაწილეთა ნაწილი ამ შეჯიბრებაზე მაინც ოლიმპიური დევიზით გამოვიდა — მთავარი მონაწილეობაა და არა გამარჯვებაო, ზოგიერთმა კი ასპარეზობა სახელდახელო დევიზითაც გამდიდრა — მთავარია სტარტი და არა ფინიში! ე. ი. ფინიშამდე თუ ვერ მიხვედი, თავს ნუ მოიკლავო.

კორექტივებს არც სპორტული ფორმა გადაურჩა. ქალი მაინც ქალია... ალბათ ამიტომ იყო, რომ მონაწილეთა უმეტესი ნაწილი შეჯიბრებაზე ორიგინალური ფორმით გამოვიდა.

სპარტაკიადის პირველი გამარჯვებული ბირთვის კვრაში გამოვლინდა. რკინის სფერო ყველაზე შორს — 13,34 მეტრზე ჰკრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა ნინო ჩემაშვილმა. ყველაზე ახლოს — 3,31 მეტრზე, მესამე მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლემ ქეთინო ტურიაშვილმა. სიმაღლეზე ხტომაში 160 სმ დაძლია ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა მაია ნიკურაძემ, ხოლო ყველაზე ნაკლები — 110 სმ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა სვეტლანა ლიხოტამ. 60 მ სირბილში გამარჯვებულის, უნივერსიტეტელი მზია აფციაურის შედეგია 8,1 წამი. 400-მეტრიან დისტანციაზე ყველაზე სწრაფი იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელი ედიტა ჭკადუა — 59,5 წამი, ყველაზე... ნელი — ზოოვეტის სტუდენტი ლელა მოიავა — 1,59.

შეჯიბრება გრძელდება.

ს ურ ა თ ებ ზ ე: ნინო ჩემაშვილი (ზევით), მაია ნიკურაძე (მარცხნივ); 400 მეტრზე რბენის მომენტი.





ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲐᲓ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ

ამ ორიოდე დღის წინ თბილისის ჭადრაკის სასახლის დირექტორმა, ქალბატონმა ლილი წეროძემ ბევრი თბილი სიტყვა მოისმინა, რომლებითაც მას მიმართეს ნონა გაფრინდაშვილმა და ელიზბარ უბილავამ, რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი საყვარელიძემ და ედუარდ გუფელდმა, თამაზ გიორგაძემ და სხვებმა. მათ გულწრფელად აღნიშნეს ქალბატონ ლილის დამსახურება ქართული ჭადრაკის წინაშე. იგი მთელი ორი ათეული წლის მანძილზე ერთგულად ემსახურა ამ ძირძველი თამაშის პროპაგანდას საქართველოში. მისი ხელმძღვანელობით არაერთი სასარგებლო საქმის მოთავე გახდა ჩვენი ჭადრაკის სასახლე...

იმ დღეს კი ქალბატონ ლილი წეროძეს დამსახურებულ პერსონალურ პენსიაზე აცილებდნენ. ჭადრაკის ამაგდარ მუშაკს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ ჯანო ბაგრატიონმა. მანვე დამსწრეთ აუწყა, რომ ამიერიდან ლილი წეროძე კონსულტანტად იმუშავებს უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურ სკოლაში.

ჯ. ბაგრატიონმა წინადადება შემოიტანა ჭადრაკის სასახლის დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნოს ცნობილი მოჭადრაკე, პირველი ქართველი დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე. დამსწრეთ — სპორტის ამ სახეობის მუშაკებმა, სასახლის თანამშრომლებმა, ჟურნალისტებმა ერთხმად მიიღეს ეს წინადადება.

ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა ჭადრაკში საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა საერთაშორისო დიდოსტატს ვიტალი ცეშკოვსკის, რომელიც სმოფლო პირველობის პრეტენდენტ ქალთა ტურნირში ნანა იოსელიანის მწვრთნელი იყო.

ᲔᲚᲕᲐ-ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

კიევი. გაიმართა მეორე სუპერფინალური მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ადგილობრივ „სტროიტელს“ შორის. პირველი შეხვედრა თბილისში, როგორც ცნობილია, **დინამოელებმა მოიგეს (100:98). აი, მეორე მატჩი კი უკრაინელ კალათბურთელთა უპირატესობით აღინიშნა — 85:78 (57:42). ბრინჯაოს პრიზიორის ვინაობა გამოავლინა მესამე დამატებითმა მატჩმა, რომელიც გუშინ მოიგეს კიეველებმა — 60:58 (25:28).**

ᲛᲖᲘᲐ ᲯᲣᲚᲔᲚᲘ

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲒᲝᲙᲘᲔᲚᲘ

ᲜᲘᲜᲝ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ

ᲜᲐᲓᲔᲟᲓᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲖᲔ

ᲫᲕᲔᲚ ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ. ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ თამაშებში ქალების მონაწილეობას, მაგალითად, კანონით კრძალავდნენ. მონაწილეობა კი არა, თამაშებზე უბრალო დასწრებაც სიკვდილის მუქარით იდევნებოდა, როგორც უმძიმესი დანაშაული. არადა, ქალების სპორტით გატაცების წინააღმდეგი ბერძნები არასდროს ყოფილან. პირიქით, ოლიმპიადებს შორის ოთხწლიან პერიოდებში სპორტის მოყვარული ქალები მდინარე ალფეოსის ნაპირზე იკრიბებოდნენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ უზენაესი ქალღმერთის ჰერას საპატივცემულოდ გამართულ თამაშებში. ამ სპორტულ შეჯიბრებებს, რომლებიც ძველ სამყაროში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ოლიმპიადების მსგავსად თავისი სახელიც ჰქონდა შერქმეული. მას იმავე ქალღმერთ ჰერას თაყვანისმცემლები ჰეროიდებს უწოდებდნენ. მაშ, გამოდის, რომ, და ეს ასეც იყო, ბერძნებს ქალთა სპორტის მნიშვნელობა ღრმად ჰქონდათ შეგნებული.

ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲚᲔᲙᲕᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ალბათ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ტრადიციებისადმი ერთგულმა ძველმა საბერძნეთმა ერთხელ წესი მაინც დაარღვია. ეს მოხდა მაშინ, როცა მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი კალიპატერა (იგივე ფერენიკა) ოლიმპიურ სტადიონზე შეიპარა, რათა საკუთარი თვალით ენახა მოკრივეთა ტურნირში თავისი ვაჟიშვილის პეისედორის გამარჯვება. საიდუმლო გამჟღავნდა. დამნაშავეს სასტიკი სასჯელი (კლდიდან-გადაჩეხვა) ელოდა, მაგრამ მსაჯებმა დიდსულოვნად შეიწყნარეს კალიპატერა, რომლის მამა (დიაგორი), ძმები (დორია, დამანტი, სოსია) და შვილი (პეისედორი) ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ და ეს უმძიმესი ცოდვა აპატიეს. ოლიმპიურ მითოლოგიაში მეოცე ასეთი კეთილშობილური საქციელი მსაჯების მხრიდან აღწერილი არ გახლავთ.

და მაინც, ძველ სამყაროში ერთგვარი დისკრიმინაცია ქალთა სპორტის მიმართ იგრძნობოდა. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელს პიერ დე კუბერტენს, როცა აღორძინებულ თამაშებში ყველა სახის შეზღუდვა გაუქმა და ქალი და მამაკაცი უფლებრივად ერთმანეთს გაუთანაბრა. მეოცე საუკუნის ოლიმპიადების მთელი ისტორია ამ თანასწორობის უტყუარი საბუთია.

...ქალი — ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ქალი — ოლიმპიადის ტრიუმფატორი — ეს სიტყვები უკვე აღარავის აკვირვებს, ვინაიდან ქალი, მამაკაცებთან ერთად, წარმატებით იბრძვის უმაღლესი სპორტული მწვერვალების დასაპყრობად და ხშირად გაუგონარ შედეგებსაც აღწევს. ამ ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის ქალებიც მონაწილეობენ.

1952 წლიდან მოყოლებული ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს 10 სპორტსმენი ქალი გამოვიდა. მათგან ორნი — მედეა ჯუღელი და ქეთევან ლოსაბერიძე ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ, ერთმა — საიდა გუნბამ ვერცხლის მედალი მოიპოვა, სამმა კი ბრინჯაოსი — ნინო დუმბაძემ, ლიანა ცოტაძემ და ნადეჟდა დვალიშვილმა (ეს უკანასკნელი ორი ოლიმპიადის პრიზიორი გახლავთ). ორ-ორჯერ



ᲚᲣᲓᲛᲘᲚᲐ ᲘᲔᲕᲚᲔᲕᲐ

არიან გამოსულნი ოლიმპიურ თამაშებში ნადეჟდა დვალიშვილი (ჰელსინკსა და მელბურნში), თინათინ ლეკვეიშვილი (მეხიკოსა და მიუნხენში) და ქეთევან ლოსაბერიძე (მიუნხენსა და მოსკოვში).

და კიდევ ერთი ინფორმაცია ჩვენს ოლიმპიელ ქალებზე. 1952

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲚᲝᲡᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ᲘᲠᲘᲜᲐ ᲒᲔᲠᲐᲡᲘᲛᲝᲕᲐ

წელს ჰელსინკის ოლიმპიადაზე საქართველო ოთხი სპორტსმენი ქალით იყო წარმოდგენილი (მ. ჯუღელი, ნ. დვალიშვილი, ნ. დუმბაძე და ე. გოკიელი), 1956 წელს მელბურნში — ერთით (ნ. დვალიშვილი), 1968 წელს მეხიკოში (ლ. ევლევა და თ. ლეკვეიშვილი) და 1972 წელს მიუნხენში (ქ. ლოსაბერიძე და თ. ლეკვეიშვილი) — ორ-ორი მონაწილით, 1980 წელს მოსკოვში — ოთხი სპორტსმენით (ქ. ლოსაბერიძე, ს. გუნბა, ლ. ცოტაძე, ი. გერასიმოვა). გამოდის, რომ რესპუბლიკას ოლიმპიელი ქალი არ ჰყოლია 1960 (რომი), 1964 (ტოკიო) და 1976 (მონრეალი) წლების ოლიმპიადებში.

1952 წ. (ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ, XV ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ). ჩემპიონი, როგორც მოგახსენეთ, გახდა მედეა ჯუღელი. მან საბჭოთა კავშირის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად მოიგო გუნდური შეჯიბრება (მ. გოროხოვსკაია, ნ. ბოჩაროვა, გ. მინაიჩევა, გ. ურბანოვიჩი, პ. დანილოვა, მ. ჯუღელი, ე. კალინჩუკი, გ. შამრაი) — 527,03 ქულა. გარდა ამისა, მ. ჯუღელმა IV ადგილი დაიკავა ბჯენით ხტომებში — 19,13 ქულა და IX ადგილი მრავალჭიდში — 74,95 ქულა.

ნინო დუმბაძე ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ბადროს მტყორცნელთა შეჯიბრებაში — 46,29 მ.

ნადეჟდა დვალიშვილი მძლეოსნობის სამ სახეობაში ასპარეზობდა: III ადგილი დაიკავა 200 მეტრზე რბენაში — 24,2, IV ადგილი — 4X100 მ. ესტაფეტაში (ი. ტუროვა, ე. სეჩენოვა, ნ. დვალიშვილი, ვ. კალაშნიკოვა) — 46,3. 100 მეტრზე რბენის ნახევარფინალში იგი მეოთხე იყო (12,1) და ფინალში ვერ გავიდა.

ელენე გოკიელმა ნახევარფინალში მეოთხე შედეგი (11,1) აჩვენა.

1956 წ. (ᲛᲔᲚᲑᲣᲠᲜᲘ, XVI ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ). საქართველოდან მონაწილეობდა მხოლოდ ნადეჟდა დვალიშვილი. სიგრძეზე მხტომელთა შეჯიბრებაში აჩვენა 6,07 მ და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

1968 წ. (ᲛᲔᲮᲘᲙᲝ, XIX ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ). თინათინ ლეკვეიშვილი მოცურავეთა ასპარეზობის სამ სახეობაში გამოვიდა. კომბინირებულ ესტაფეტაში 4X100 მ. მეოთხე იყო (თ. ლეკვეიშვილი, ა. გრებენშჩიკოვა, ტ. დევიატოვა, ლ. გრებეცი) — 4.37,0. 100 მ. გულაღმა ცურვაში XV შედეგი აჩვენა (1.11,0), 200 მეტრზე იმავე სტილით კი ოცდამეხუთე — 2.40,5.

ᲡᲐᲘᲓᲐ ᲒᲣᲜᲑᲐ

ლიუდმილა იევლევა. 80 მეტრზე თარჯრბენის წინასწარ გარბენში მეოთხე შედეგი (10,9) ჰქონდა და ბრძოლა ვეღარ გააგრძელა.

1972 წ. (ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘ, XX ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ). თინათინ ლეკვეიშვილმა ოთხი წლის წინანდელი შედეგები შესამჩნევად გააუმჯობესა, მაგრამ პრიზიორთა შორის მაინც ვერ მოხვდა. კომბინირებული ესტაფეტა 4X100 მ IV ადგილი (თ. ლეკვეიშვილი, გ. სტეპანოვა, ი. უსტიმენკო, ტ. ზოლოტნიცკაია) — 4.27,81. 100 მ. გულაღმა — X ადგილი (1.07,61), 200 მ. გულაღმა — XX ადგილი (2.28,22).

ᲚᲘᲐᲜᲐ ᲪᲝᲢᲐᲫᲔ

ქეთევან ლოსაბერიძე მშვილდოსანთა ოლიმპიურ ტურნირში პირველად გამოვიდა და 2402 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა.

1980 წ. (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, XXII ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ). ქეთევან ლოსაბერიძე მეორედ გამოდის თამაშებში და ოლიმპიური ჩემპიონი ხდება — 2491 ქულა.

საიდა გუნბა შუბის მტყორცნელთა ტურნირში ვერცხლის მედლით ჯილდოვდება — 67,76 მ.

ლიანა ცოტაძემ წყალში მხტომელთა ასპარეზობაში (კოშკი) მესამე შედეგი აჩვენა — 575,925 ქულა და ბრინჯაოს მედალი მიიღო.

ირინა გერასიმოვა გამოდიოდა მოცურავეთა ტურნირში, მიიღო დისკვალიფიკაცია და შეჯიბრებას გამოეთიშა.

1984 წლის ოლიმპიურ თამაშებში (ლოს-ანჯელესი) საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენები, როგორც ცნობილია, არ მონაწილეობდნენ. სეულის ოლიმპიადამდე კი ექვს თვეზე მეტია დარჩენილი, ამიტომ ჯერ იმის თქმაც არ შეიძლება, თუ ვის მოუხდება იქ გამოსვლა. ამას დრო და ჩვენი ქალების შემართება გვიჩვენებს.

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ, ᲥᲐᲚᲔᲑᲘ...

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ თამაშების პირველი ჩემპიონი ქალი იყო სპარტის შეფის აგესილაოსის და კინისკეთან გაიმარჯვა ოთხცხენიანი ეტლებით შეჯიბრებაში (IV საუკუნე ჩვენს ერამდე).

ᲐᲠᲪ ძველ რომში ჰქონდათ ქალებს სრული თავისუფლება. იმპერატორმა ავგუსტუსმა ქალებს აუკრძალა ათლეტურ შეჯიბრებებზე დასწრება. გლადიატორთა ბრძოლების დროს ქალებს შეეძლოთ მხოლოდ მაღალ საფეხურებზე ყოფნა. როდესაც ერთხელ პონტიფიკალურ თამაშებში ხალხმა მოითხოვა ორი მოკრივის გამოყვანა იმპერატორმა იგი მეორე დღისათვის გადაატანინა და განაცხადა, რომ ქალები არ გამოჩენილიყვნენ თეატრში ხუთ საათზე ადრე.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ კუნძულ კრეტაზე ჰქონდათ ქალებს უფლება დასწრებოდნენ სპორტულ სანახაობებს.

1878 ᲬᲚᲘᲡ კანონით ინგლისში მამაკაცს ეკრძალებოდა წყალში ქალთან ახლოს ბანაობა. მათ შორის მანძილი ერთი მეტრი მაინც უნდა ყოფილიყო. 1898 წელს პასუხისგებაში მიუციათ ვიღაც ცურვის მასწავლებელი. ამაოდ იცავდა მას ვექილი: „თუ კაცი ქალს ერთ მეტრზე ახლოს არ მიუახლოვდა, როგორღა ასწავლოს ცურვაო?!.“ მაგრამ „დამნაშავეს“ მაინც გადაახდევინეს ფულადი ჯარიმა.

1890 წელს ოპორტოში (პორტუგალია) 20 წლის ქალიშვილი შებრძოლებია ორ ხარს და ორივე მოუკლავს. სანახაობას დიდძალი ხალხი დასწრებია.

1891 წელს ცნობილმა ფრანგმა ველოსიპედისტმა ქალმა ემილია დალანსონმა მანძილი პარიზიდან ვენამდე 26 დღე-ღამეში გაიარა.

1901 წლის 1 ივლისს გერმანიის ელჩის ცოლმა კონსტანტინეპოლში ზუბერტმა და ვიცე-ადმირალის ქალიშვილმა ვუდსმა ბოსფორის სრუტე ყველაზე განიერ ადგილზე გადასცურეს.

1901 წელს ამერიკელმა მართა ვალენდურუსმა ნიაგარას ჩანჩქერი კასრით გადასცურა.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ოლიმპიადებში ქალთა შორის პირველი გამარჯვებულია ინგლისელი ჩოგბურთელი შ. კუპერი (1900 წელი, პარიზი).

ᲨᲔᲙᲠᲘᲑᲐ ᲡᲣᲚᲘᲙᲝ ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔᲛ.

პირველი მატჩი, პირველი მღელვარება

(დასასრული)

მეტოქედ, რა კატეგორიის სიძნელისაა იგი? შეიძლება თუ არა ვილნიუსის „ჟალგირისი“ ჩვენი გუნდისთვის იმ „სასინჯ ქვად“ მივიჩნიოთ, რომელთანაც ჩატარებულმა თამაშმა გარკვეული შთაბეჭდილება უნდა შეგვიქმნას თბილისის „დინამოს“ ახლანდელ სიძლიერეზე, ხოლო თვით გუნდს საკუთარი ძალის რწმენა ჩაუსახოს. „ჟალგირისი“ ახლა ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთი ფავორიტია, თუ რა თქმა უნდა, მთლიანად გავითვალისწინებთ მისი ბოლო წლების ისტორიას. 1982 წელს ვილნიუსელთა გუნდი ჯერ კიდევ პირველი ლიგის წევრი იყო, 1983 წელს კი უმაღლეს ლიგაში მეხუთე ადგილზე გავიდა. რასაკვირველია, ეს დიდი წარმატება იყო. მომდევნო წლებში „ჟალგირისი“ სტაბილურად თამაშობდა და მტკიცედ იმკვიდრებდა ადგილებს ცხრილის შუაგულში, ხოლო შარშან თავისი არსებობის მანძილზე ყველაზე უკეთეს მაჩვენებელს მიაღწია. ჯერ ერთი, „ჟალგირისმა“ შარშანდელი ზაფხულის მსოფლიო უნივერსიადაზე იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში მეტად პრესტიჟული შეჯიბრება მოიგო და ჩემპიონის სახელი დაიმკვიდრა, შემდეგ გუნდი საკავშირო ჩემპიონატში მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა და წლეულს შემოდგომით უეფა-ს თასზე ითამაშებს. თუ ამას დავუმატებთ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მიღწეულ წარმატებებს (გუნდი მეოთხედფინალში თამაშობს), ცხადია — ვილნიუსელ ფეხბურთელებთან პირველი თამაშის საფუძველზე თამამად შეგვიძლია ვიმსჯელოთ თბილისის „დინამოს“ ახლანდელ სპორტულ ფორმაზე, მით უმეტეს, რომ „ჟალგირისის“ შემადგენლობაში გამოდიან უკვე ცნობილი მოთამაშეები შეკარე ვ. იურკუსი, მცველი ვ. სუკრისტოვი, ნახევარმცველი ვ. ივანაუსკასი, ფორვარდები ს. ბარანაუსკასი და ა. ნარბეკოვასი. ერთი სიტყვით, გუშინდელი მეტოქე აშკარად ძლიერია და, ჩვენი აზრით, „სასინჯ ქვადაც“ ზედგამოჭრილი.

ეს ფრიად დიდმნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ, თუმცა, გამარჯვებას მხოლოდ უკიდურესად დაძაბულ, შეუპოვარ ბრძოლაში მივაღწიეთ, სასტარტო 2 ქულის აღებას დინამოელებმა დიდი ენერგია და ჯაფა შეალიეს.

ყოველი მოგებული მატჩი თავისთავად ოპტიმიზმს იწვევს, „ჟალგირისთან“ მოპოვებული გამარჯვებაც მეტად პერსპექტიულია, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ამთავითვე განვაცხადოთ, რომ ჩვენი გუნდის თამაშში ჯერ კიდევ მრავლად შევამჩნიეთ ხარვეზები, გარკვეულ პერიოდებში უსისტემოდ თამაშობდნენ ნახევარმცველები, პასიურობდნენ თავდამსხმელები, სტუმრების კართან იშვიათად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ ისიც ცხადია, რომ შარშანდელთან შედარებით ჩვენი გუნდის თამაშში შესამჩნევი პროგრესი იგრძნობა. მოთამაშეები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული, მათ შეძლეს მაღალი ტემპის შენარჩუნება, დიდი ნებისყოფა გამოიჩინეს და მოგებულ მატჩს ისიც უნდა მივუმატოთ, რომ თბილისის „დინამომ“ გამარჯვებისადმი სწრაფვის პრიზი-სთვის პირველი მომგებიანი ქულა ჩაიწერა.



„ჟალგირისის“ დამარცხება იოლი არ გახლდათ, მით უფრო, მას შემდეგ, რაც პირველი გოლი 37-ე წუთზე გაიტანა ნარბეკოვასმა. ეს მოხდა ჩინებულად გათამაშებული კომბინაციის შედეგად.

შესვენების შემდეგ თბილისელები თითქმის განუწყვეტლივ, აქტიურად უტევდნენ. მდგომარეობა იხსნა გუბაზმა, რომელმაც 78-ე წუთზე საკმაოდ შორი მანძილიდან ზუსტად დაარტყა შორეულ კუთხეში, რამდენიმე წუთის შემდეგ კი „ჟალგირისის“ მცველებმა აშკარად აკრძალული ილეთით წააციეს ქეცბაია, ვ. ბუტენკომ უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი და გურულმა ზუსტად დაარტყა — 2:1.

პირველი მატჩი, პირველი გამარჯვება, პირველი ქულები! ვფიქრობთ, ეს წარმატება სასიკეთოდ იმოქმედებს ჩვენს ფეხბურთელებზე.

• • •

იმასთან დაკავშირებით, რომ მინსკის „დინამო“ ბელგიის „მეხელენთან“ თასების მფლობელთა თასის ჩატარების შემდეგ გვიან დაბრუნდა შინ, მისი შეხვედრა ერევნის „არარატთან“ 7 მარტის ნაცვლად 8 ივნისისთვის გადაიდო.

დუბლიორთა მატჩი

6 მარტს დინამოელთა საწვრთნელ ბაზაზე, დიღომში, გაიმართა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი. თბილისის დინამოელებმა უმასპინძლეს ვილნიუსის „ჟალგირისს“. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

დინამოელთაგან ბურთი საჯარიმო დარტყმით გაიტანა გ. ჯიშკარიანმა. თბილისელთა შემადგენლობა: გაბელია (მიქაძე), თეთრაძე, თარბა, ცხადაძე, ჩხაიძე, რევიშვილი, თედეევი, გ. ჯიშკარიანი, მ. ჯიშკარიანი, აჯოევი, ხარჩილავა.

გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზი

იმ პრიზებს შორის, რომლებისთვისაც მედლების გარდა იბრძოლებენ ფეხბურთელები ქვეყნის ჩემპიონატში, არის გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მიერ დაწესებული ჯილდოც — „მაყურებლის სიმპათიის“ პრიზი. დებულების თანახმად, მისი მფლობელი გახდება უმაღლესი ლიგის ის გუნდი, რომლის თამაშებსაც შინ და სტუმრად ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრება.

ამ პრიზის პირველი მფლობელი გახდა კიევის „დინამო“. კიეველებმა შარშან ჩემპიონის წოდება მოსკოვის „სპარტაკს“ დაუთმეს, დაიკავეს მათთვის რამდენადმე შეუფერებელი ადგილი, მაგრამ „მაყურებლის სიმპათიის ცხრილში“ უკრაინელი ფეხბურთელები პირველები იყვნენ.

მკითხველებს შევახსენებთ, თუ რა პრინციპით განსაზღვრავს „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქცია ამ პრიზის გათამაშების გამარჯვებულს. სტუმრად ყოველი გუნდის მატჩზე მისული მაყურებლის საერთო რიცხვს ემატება მაყურებლის დასწრების საშუალო მაჩვენებელი საკუთარ მოედანზე. მიღებული რიცხვი იყოფა თექვსმეტზე — უმაღლეს ლიგაში მოსპარეზე კლუბების რაოდენობაზე. ამრიგად, კონკურსში მაყურებლის რაოდენობა ყოველ სტადიონზე თითოჯერაა გათვალისწინებული, რაც გუნდებს დაახლოებით თანაბარ პირობებს უქმნის.

დებულების თანახმად, პრიზი გუნდს სამუდამოდ გადაეცემა. მაგრამ იგი მეორედ ერთსა და იმავე გუნდს არ შეიძლება გადაეცეს, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ გუნდმა შეიძლება არაერთხელ გაიმარჯვოს კონკურსში. მაგალითად, თუ პრიზის — თბილისის საშენ მასალათა კომბინატში დამზადებული მხატვრულად შესრულებული ვაზის — მფლობელები უკრაინის დედაქალაქის დინამოელები წელსაც კვლავ ყველაზე მეტ მაყურებელს დაისწრებენ ტრიბუნებზე, ისინი გამოცხადდებიან კონკურსის გამარჯვებულად, მაგრამ პრიზს მათ მეორედ არ გადასცემენ. თუ კი, დავუშვათ, გაიმარჯვებს ნებისმიერი სხვა გუნდი, მას სამუდამოდ გადაეცემა რედაქციის ახალი პრიზი.

(საქინფორმი).

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია დაეთანხმა მოსკოვის საქალაქო ფედერაციის გადაწყვეტილებას, რომ მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელს დ. ხარინს ნება დაერთოს გადავიდეს მოსკოვის „დინამოში“, ხოლო ა. პრუდნიკოვს — მოსკოვის „დინამოდან“ — მოსკოვის „ტორპედოში“.

კეთილი იყოს თქვენი კლუბიმ მოგრძანდეთ, გულშემატკივრებო!

თბილისელმა ფეხბურთის მოყვარულებმა ოფიციალური სტატუსი მიიღეს. ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონატის წინ 270 მათგანს გადაეცა საქართველოში პირველი გულშემატკივართა კლუბის წევრის მოწმობა. მისი მისამართია ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. სწორედ რესპუბლიკის ამ სპორტული ნაგებობის დირექცია გახდა თბილისელ გულშემატკივართა სახლის შექმნის ინიციატორი.

— ქართულ ფეხბურთს დიდი ტრადიციები აქვს, — თქვა „დინამოს“ სპორტკომბინატის დირექტორმა ვაჟა ულენტმა. — და მთელი ამ დროის მანძილზე მისი ერთგული თანამგზავრები გულშემატკივრები იყვნენ, რომლებიც გამოირჩევიან კეთილმოსურნეობით, ამ პოპულარული თამაშის ღრმა გაგებით. მაგრამ აქამდე ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ არაორგანიზებულად ქალაქის პარკებსა და სკვერებში, ეს მაშინ, როცა მათ ფეხბურთისადმი ერთგულებით დიდი ხანია დაიმსახურეს საკუთარი სახლის ქონის უფლება.

დამფუძნებელ კრებაზე თბილისელ გულშემატკივართა კლუბის პირველ პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს ინჟინერი გურამ ქავთარაძე. მას გულშემატკივრობის სტაჟი 45 წლის აქვს.

— ჩვენი კლუბის პრეზიდიუმის შემადგენლობაში ფეხბურთის ყველა ჟანრმარიტი მოყვარულია, — თქვა გ. ქავთარაძემ. — ესენი არიან სხვადასხვა პროფესიისა **და** ასაკის ადამიანები: მუშები, მოსამსახურეები, სტუდენტები, მოსწავლეები.

— მაგრამ, დამეთანხმები, 270 კაცი ისეთი საფეხბურთო დედაქალაქისათვის, როგორიც თბილისია, ცოტაა.

— დარწმუნებული ვარ, კლუბის შემადგენლობა გაფართოვდება. ჩვენი „წესდება“ მივიღეთ 4 დეკემბერს გამართულ საერთო კრებაზე. მაშინათვე შევუდექით მის განხორციელებას. პირველი მაისის რაიონის სახბარკში გავხსენთ სპეციალური ანგარიში. მხარდაჭერას ვგრძნობდით ყველგან, სადაც კი მივმართეთ დახმარებისათვის. მაგრამ ოდნავ მოგვიანებით ჩვენი საქმეები რამდენადმე შეფერხდა. საქმე ის არის, რომ ხმები გავრცელდა, თითქოს „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი საკლუბო საფუძველზე გადადიოდეს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ უკვე ვერ ვიარსებებდით, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, უნდა გავმხდარიყავით დიდი მეურნეობის ერთ-ერთი სექცია. ახლა ყველაფერი გაირკვა, მაგრამ რამდენადმე დავაგვიანეთ რეკლამა. და მაინც, ორ დღეში 270 კაცი — არც თუ ისე ცოტაა.

— როგორია კლუბში შესვლის პირობები?

— მისი სრულუფლებიანი წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი თბილისელი გულშემატკივარი, რომელიც ეწევა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, სტუდენტი, მოსწავლე და პენსიონერი. კლუბში შესვლის შესატანი ყველასათვის 3 მანეთია, ყოველწლიური [illegible] — 3 მანეთი, [illegible] — 2 მანეთი, ხოლო ყველა დანარჩენისთვის — 5 მანეთი. კლუბის წევრებს ეძლევათ სპეციალური მოწმობები.

— რა შეღავათები აქვს კლუბის წევრს?

— პირველი, რაც შეგვიძლია მათ დავპირდეთ, ეს არის სეზონური აბონემენტები და ქვეყნის ჩემპიონატის ცალკეული მატჩების ბილეთები. მაგრამ ჩვენი სამომავლო საქმიანობის სფერო გაცილებით ფართოა. კლუბთან შეიქმნა ხუთი სექცია: ფეხბურთის პროპაგანდისა და გულშემატკივრებთან ახსნა-განმარტებითი მუშაობის, სტატისტიკისა და ინფორმაციის, ორგანიზაციებთან და საწარმოებთან ფეხბურთის მოყვარულთა სხვა კლუბებთან კონტაქტების, მიმოწერის, საფინანსო-სამეურნეო სექციები.

— კონკრეტულად, როგორია კლუბის ძირითადი მიზნები?

— პირველი შეკითხვა, რომლითაც სტუმრები მოგვმართავენ, არის „რა გვექნება?“, მაგრამ ჩვენ საკითხს სხვანაირად ვსვამთ: „რა შეგიძლიათ მისცეთ ფეხბურთს?“ კლუბის უპირველესი ამოცანაა ხელი შეუწყოს ფეხბურთის შემდგომ პროგრესს. ყოველმხრივ დახმარებას გავუწევთ სტადიონის დირექციას სპორტულ ღონისძიებათა დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, მოვაწყობთ გულშემატკივართა შეხვედრებს სპორტის პასუხისმგებელ მუშაკებთან, თბილისის „დინამოს“ მწვრთნელებთან, მოთამაშეებთან, სპორტის ვეტერანებთან. სხვათა შორის, ახლახან ერთი ასეთი შეხვედრა გაიმართა კინოს სახლში. ჩვენი სტუმარი იყო ლეგენდარული ბორის პაიჭაძე. დაგეგმილი გვაქვს მოვაწყოთ ჩვენი გულშემატკივრების სხვა ქალაქებში ჩასვლა თბილისის „დინამოს“ მატჩებზე დასასწრებად. ახლახან შევიძინეთ სპორტული ფორმა თბილისელ გულშემატკივართა საფეხბურთო ნაკრები გუნდისთვის, რომელიც მოსკოვში გაემგზავრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე გამართულ მინიფეხბურთელთა საკავშირო ტურნირში მონაწილეობისთვის. სპეციალური პრიზით დავაჯილდოვეთ ჩვენს სტადიონზე ქვეყნის ჩემპიონატში გატანილი პირველი ბურთის ავტორი, აგრეთვე, თბილისელ გულშემატკივართა სახელით სამახსოვრო საჩუქარი გადავეცით თბილისის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრები გუნდის სახელგანთქმულ კაპიტანს ალექსანდრე ჩივაძეს, რომელიც ფეხბურთს გამოეთხოვა. ყოველივე ეს ხორციელდება კლუბის ბაზისაში შემოსული სახსრებით.

— ტრიბუნაზე კლუბის წევრები რით გამოირჩევიან დანარჩენი გულშემატკივრებისაგან?

— უკვე შემუშავებულია ესკიზები კლუბის ემბლემიანი სამკერდე ნიშნების, კეპების, შარფების, მაისურებისთვის.

შ. შალოლაშვილი.

(საქინფორმი).

მხიარული სტრიქონები

ცნობილმა მწერალმა და კინოდრამატურგმა ი. კოსტიუკოვსკიმ სხვადასხვა დროს ჩაიწერა საინტერესო, იუმორისტული ნარკვევები გამოჩენილ ადამიანებთან ფეხბურთის თემაზე.

გთავაზობთ მწერლის რამდენიმე მცირე ნოველას.

ვ. გოგროვი (ფეხბურთელი).

— ცდებით, ვსევოლოდ მიხეილის ძევ. დღეს მან თავისი პირველი ბურთი გაიტანა.

— მე კი გეუბნებით, მეორე-მეთქი.

— კი მაგრამ, პირველი როდისღა გაიტანა, გასულ თვეს?

— არა, გასულ წელს. ჰოდა, აი, გამოდის, ორ წელიწადში უკვე ორი ბურთი გაიტანა!

— კოლეგას დასცინით?

— აბა როგორ არ დავცინო?! ამბობენ, მაგის გულისთვის ვერტმფრენის სადგური „დინამოდან“ მოშორებით გადაიტანესო.

— კი მაგრამ, ვერტმფრენი რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ კარის მიმართულებით ურტყამდა, მაგრამ ხვდებოდა სტადიონის თავზე მოზრაველ ვერტმფრენებს. მაგას ომამდე ეზოს გუნდშიც კი არ მიიღებდნენ.

— როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა შევადაროთ ომამდელი და ახლანდელი ფეხბურთელები?

— გასაოცარი ოსტატები გვყავდა ომამდე. მაშინ ჩემს წინააღმდეგ სელინი თამაშობდა, ახლა — სეგლინი. სეგლინს კი როგორმე გავუმკლავდები.

ნ. დუმბაძე (მწერალი).

— არ მოგწონთ მატჩი, ნოდარ?.. რატომ? ამდენი მწვავე მომენტია, კარგი გოლები!

— არ გეკამათებით. მინდორზე კიდევ ხდება ხოლმე რაღაც საინტერესო, მაგრამ ტრიბუნებზე — არასოდეს.

— არ მესმის.

— მოსაწყენად გულშემატკივრობენ მოსკოვში. თქვენს სტადიონზე გაცილებით მეტი სიმშვიდეა, ვიდრე ლიტერატორთა სახლში.

— თბილისის სტადიონზე კი ყველაფერი ინგრევა, არა?

— რა შედარებაა!.. ჩვენ ყველაზე გმირული გულშემატკივარი გვყავს.

— გმირული?

— რასაკვირველია. თბილისის „დინამოს“ ერთმა თაყვანისმცემელმა თავისი გუნდის პატივსაცემად კავკასიონის ხუთი მწვერვალი დალაშქრა.

— ალპინისტმა?

— არა, მხატვარმა. და ყოველ მწვერვალზე თითო უზარმაზარი ასო გამოიყვანა. პირველზე — მ, მეორეზე — ე, მესამეზე — ს, მეოთხეზე ხ, მეხუთეზე — ი, დასაქერი თვითმფრინავიდან და კითხულობ — მესხი...

მ. იანშინი (მსახიობი).

— როგორ მოგეწონათ თამაში, მიხეილ მიხეილის ძევ?

— საძაგელი მატჩია!.. აი მშვენიერი თემა თქვენ, სატირიკოსებს

— როგორ შეუძლია ერთ კაცს ხასიათი გაუფუჭოს ათასებს.

— ეგ რომელი კაცია?

— არბიტრი. მსაჯობდა მიკერძოებით, მხოლოდ ერთი გუნდის მისამართით უსტვენდა.

— მაგრამ, ყველაფერი ხომ მარტოოდენ მსაჯზე არ არის დამოკიდებული.

— დიაღაც!.. თითქმის ყველაფერი!.. ამგვარ მსაჯობაზე მე ერთხელ უკვე ვთქვი: სამხატვრო თეატრის გუნდი მოუგებს-მეთქი უმაღლესი ლიგის ნაკრებს ანგარიშით 10:0, ოღონდ... ერთი პირობით.

— რა პირობით?

— თუკი ნემიროვიჩ-დანჩენკო იმსაჯებს.

ჩემპიონია ცსკა

მოსკოვი. ცსკა-ს კალათბურთელებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები უკანასკნელად 1984 წელს მოიპოვეს. მაშინდელი შემადგენლობიდან გუნდს რამდენიმე კალათბურთელიღა შემორჩა — ტარაკანოვი, ლოპატოვი, პოპოვი, პანკრაშკინი და ენდენი. და აი, ოთხი წლის შემდეგ ცსკა კვლავ ჩემპიონია. მეორე მატჩი „ყალგირისს“ მან შინ მოუგო ანგარიშით 94:66 (46:36). ოქროს მედლები ზემოჩამოთვლილ კალათბურთელებთან ერთად მოიპოვეს: მიგლინიეკსმა, ვოლკოვმა, გორინმა, ბერეჟნოიმ, გობოროვმა. ეს ფაქტიურად ნახევარი გუნდია.

ზედიზედ მეოთხე

მოჭადრაკე ქალთა 44-ე რესპობლიკურ ჩემპიონატზე დაწესებულია ოსტატის ნორმა — 11,5 ქულა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამ წოდების მაძიებლები დიდი შეუპოვრობით იბრძვიან ოსტატების წინააღმდეგ. სანუკვარი მიზნის მიღწევის შესაძლებლობა ყოველ მოჭადრაკეს აქვს, მაგრამ ვინ შეძლებს პრაქტიკულად განახორციელოს თავისი ჩანაფიქრი? ამ კითხვაზე პასუხი მომდევნო ტურებმა უნდა გაგვცეს.

IV ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა თბილისის ჩემპიონმა, ოსტატობის კანდიდატმა იამზე თვაურმა. მან ოსტატ თამილა მესხს სძლია. ჰოლანდიურ დაცვაში თეორებმა უპირატესობა მიიღეს. თვაურმა e5 პაიკი დათმო, რის შემდეგ შავი ეტლი მთლიანად გამოთიშა თამაშიდან, გახსნა c ხაზი და მძიმე ფიგურებით მეტოქის მეფის ბანაკში შეიჭრა. მესხი თავგამოდებით იცავდა თავს, მაგრამ პარტიის ხსნა მაინც ვერ შეძლო და მეტოქეს დანებდა.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: გელავა-კემულარია — 0:1, ხუციშვილი-ჩაიკოვსკაია — 0:1, ნიკოლაძე-კახიანი — 0:1, ქ. მელაშვილი-ხურციძე — 1:0, სადუნიშვილი-ტერელაძე — 0:1, ნ. მელაშვილი-ქასოშვილი — 0:1, ხარლამიდი-კახაბრიშვილი — 0:5:0,5, ხუგაშვილი-ფახიროვა — 0,5:0,5.

V ტურში ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა ოსტატმა ციალა ქასოშვილმა, რომელმაც ოსტატობის კანდიდატი ნინო ხარლამიდი დაამარცხა. თეორებმა დებიუტშივე უპირატესობა მიიღეს. ქასოშვილმა აქტიურად განალაგა ფიგურები, გახსნა ცენტრალური ხაზი და ლაზიერით შეიჭრა მეტოქის განლაგებაში, მოიგო რამდენიმე პაიკი, რის შემდეგაც გამოცდილ ოსტატს არ გასჭირვებია პარტიის გამარჯვებამდე მიყვანა.

ტერელაძე-თვაურის შეხვედრაში ორივე მხარე თითქმის თანაბარ პოზიციაში აღმოჩნდა. თანდათანობით გაიცვალა ფიგურები, მეტოქეებმა თავი აარიდეს ზედმეტ გართულებებს და დაზავდნენ.

გთავაზობთ ამ ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგებს: მესხიხუგაშვილი — 1:0, ხურციძე-სადუნიშვილი — 0:1, კახიანი-ქ. მელაშვილი — 1:0, კემულარია-ხუციშვილი — 0:1, კახაბრიშვილი-გელავა — 0:1, ფახიროვა-ნ. მელაშვილი — 0,5:0,5, ჩაიკოვსკაია-ნიკოლაძე — 0,5:0,5.

5 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ციალა ქასოშვილი (გორი) — 4 (1), სოფიკო ტერელაძე (სამტრედია), ქეთევან კახიანი (გარდაბანი) — 4-4, თამილა მესხი (ქუთაისი) — 3, ალა ჩაიკოვსკაია (თბილისი), ეკატერინე ფახიროვა (ქუთაისი) — 2,5-2,5 (1-1), ნინო ხურციძე, იამზე თვაური (ორივე — თბილისი) — 2,5-2,5.

ვასილ ვაშაკიძე.

საჭადრაკო კომპოზიცია

ქალღმერთი კაისა

ჭადრაკის ისტორიაში ქალს მნიშვნელოვანი და საპატიო ადგილი აქვს დათმობილი. მასალა იმდენად მრავალფეროვანი და საინტერესოა, რომ ამ საკითხზე სპეციალური გამოკვლევაც კი შეიძლება დაიწეროს. მართალია, გენიალური თამაშის — ჭადრაკის აღმოცენება სამხედრო მიზნებს უკავშირდება და დაფაზე მიმდინარე ბრძოლები თითქოს შორს უნდა იყოს ქალის ინტერესებიდან, მაგრამ ფაქტია, რომ ჭადრაკის შექმნისა და განვითარების ხანგრძლივი ისტორია ქალის სახელებით არის დამშვენებული.

მაგალითად, სპარსული პოეზიის გიგანტი ფირდოუსი თავის სახელგანთქმულ „მეფეთა წიგნში“ („შაჰნამე“) შემდეგ ლეგენდას გადმოგვცემს: ინდური ქვეყნის სამეფო ტახტისათვის გამართულ ბრძოლაში, რომელიც ტყუპ ძმებს შორის გაჩაღდა, სპილოზე მჯდომი დამარცხებული უფლისწული მზის პაპანაქების, შიმშილისა და წყურვილისგან დაიღუპა. ბრძენმა ადამიანებმა ჭადრაკის თამაში გამოიგონეს, რათა მისი საშუალებით მოეთხროთ მგლოვიარე დედა — დედოფლისათვის ეს ტრაგიკული ამბავი.

ჭადრაკის შექმნას მიუძღვნა პოემა „კაისა“ ინგლისელმა პოეტმა უილიამ ჯონსმა (1746-1794), რომელიც აგრეთვე იყო სანსკრიტოლოგი, ძველინდური ლიტერატურის მკვლევარი (მან პირველმა გამოაქვეყნა ინდური წყაროები ჩატრანგის შესახებ). პოემის შინაარსი მითოლოგიურია. იგი მოგვითხრობს, რომ ომის ღმერთმა დრიადამ (ხეების მფარველი ნიმფა) კაისას გული მხოლოდ მას შემდეგ მოიგო, რაც ჭადრაკის თამაში გამოიგონა. პოეტის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფი — **კაისა** შემდგომში ჭადრაკის ქალღმერთად და „საჭადრაკო მუზად“ იქცა.

ქალი-მოჭადრაკის თემა ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მხატვრებმა ბევრი ტილო შექმნეს, სადაც ქალი საჭადრაკო დაფას უზის. გერმანელმა მწერალმა ვილჰელმ ჰაიზემ 1803 წ. გამოაქვეყნა ნოველა „ანასტასია და ჭადრაკი“. ლიტერატურის ისტორიაში იგი იმით არის საყურადღებო, რომ პირველი მხატვრული ნაწარმოებია, სადაც ვხვდებით ჭადრაკის პოზიციას და მის სამსვლიან ამოხსნას. ამასთან, შამათი, რომელსაც ნოველის პერსონაჟი ქალი აცხადებს, „ანასტასიას“ სახელით შევიდა თეორიაში.

თვით ჭადრაკის ფიგურების არმიაც არ დარჩენილა ქალის გარეშე. ცნობილია, რომ ქართულ ლაზიერს შეესატყვისება ინგლისური „დედოფალი“, ხოლო ბევრ ევროპულ ენაზე — „მანდილოსანი“. ცხადია, ამ გარემოებამ თავი იჩინა ჭადრაკის დაფაზე გამართულ ბატალიებშიც. ზოგიერთ მათგანს „რომანტიული“ სარჩულიც კი დაედო.

ხ. ლოიდი, 1869



შამათი 3 სვლაში

ამოცანის ამოხსნა თეთრი „დედოფლის“ და შავი კუს („ოფიცრის“) თამაშზეა აგებული. 1. ლf1! (მუქარით 2. ლb1 და 3. ლ:h7X ან 2. ...g6 3. ლ:h1X). ახლა „ოფიცრის“ ყოველ განრიდებას „დედოფლის“ დაჟინებული დევნა სდევს თან: 1. ...კc3 (d4), 2. ლd3, 1. ..კe5 (f6), 2. ლf5. საინტერესოა ვარიანტიც 1. ...g3, 2. მg6+ hg, 3. ლh3X. ეს საქვეყნოდ აღიარებული ნაწარმოები, რომელსაც გასული საუკუნის ერთ-ერთმა უძლიერესმა მოჭადრაკემ იოჰან ცუკერტორტმა „სადა ბუდეში ჩასმული ბრილიანტი“ უწოდა, კომპოზიციის ისტორიაში „სამოჯნურო დევნის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

მაგრამ საამოცანო კომპოზიცია არა მარტო „ქალური“ თემატიკით არის საყურადღებო. საჭადრაკო ხელოვნების ამ დარგს თვით პრობლემისტმა ქალებმაც გაუთქვეს სახელი. აღსანიშნავია, რომ ჭადრაკის ცნობილი თეორეტიკოსის და კომპოზიტორის მ. ლახგეს 1862 წელს გამოცემულ კაპიტალურ ნაშრომში („საჭადრაკო ამოცანების სახელმძღვანელო“) ქალების უკვე ექვსი ამოცანაა შესული. ამოსახსნელად გთავაზობთ XIX საუკუნის პრობლემისტი ქალის ავსტრიელი სოფი შეტის მინიატიურას, რომელიც ჟ. დიუფრენის საამოცანო კრებულშია მოყვანილი.

ს. შეტი, 1881



შამათი 2 სვლაში

საქართველოს მოჭადრაკე ქალების მიმართ დიდი სიმპათიები აქვთ ჩვენი რესპუბლიკის პრობლემისტებსა და ეტიუდისტებს. ისინი ცდილობენ ყოველთვის სპეციალურად შეთხზული ნაწარმოებებით გამოეხმაურონ მათ თვალსაჩინო სპორტულ წარმატებებს. რვა მარტის საზეიმო განწყობილებას აძლიერებს ნანა იოსელიანის ახლახანს მოპოვებული გამარჯვება, რასაც სიხარულით შეხვდნენ ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორებიც. გთავაზობთ მისდამი მიძღვნილ ულტრამინიატურას — (ფორმა „შარტოხელა ეფელი“). მისი ავტორი, დამწყები ალბერმისტი, ტყიბულელი მშენებელ-ტექნოლოგი ოთარ ობოლაძე.

ო. ობოლაძე

(იბეჭდება პირველად)



შამათი 2 სვლაში

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მკითხველებო!

ამოხსნა

„ლელოს“ 21 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი ე. უმნოვის სამსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. ლa8! (მუქარა 2. ლe8+) მa5, მe5, მფf7, 2. ლg8+, ეd6+, ეd7+. ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: თ. დიასამიძე (ბათუმი), კ. ვაჩაძე (ტყიბული), შორენა და ინგა თამანაშვილები (კასპი), ბ. დოლიაშვილი (დირბი, ქარელის რ.), გ. ნანავა (დოშაყე, გეგეჭკორის რ.), რ. გურული (ქვ. საქარა, ზესტაფონის რ.), მზია შავდათუაშვილი (გორი), ვ. ხითარიშვილი (ასპინძა), გ. ჭკადუა (სოხუმი), ლ. რამიშვილი, ა. წეველიძე, დ. მამულაშვილი, ვ. შავგულიძე, კ. მჭედლიძე, ჯ. ცანავა, ა. ამირიძე, გ. ფანცხავა, ლ. ხარატი (ყველა — თბილისი).



საერთაშორისო ფსიბურთი: ფილიგანი. ცხრილები

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მატჩები.

შოტლანდია

34-ე ტური. „აბერდინი“ — „ფკ დანდი“ 1:0, „სელტიკი“ — „მორტონი“ 1:0, „დანდი იუნაიტედი“ — „რეინჯერსი“ 1:1, „ფალკირკი“ — „ჰარტსი“ 2:0, „სენტ მირენი“ — „მოზერეული“ 0:0.

	თ.	ბ.	ქ.
„სელტიკი“	33	60-20	53
„რეინჯერსი“	34	65-23	49
„ჰარტსი“	34	62-28	47

საფრანგეთი

26-ე ტური. „ლავალი“ — „მონაკო“ 0:0, „სენტ ეტიენი“ — „მარსელი“ 0:1, „რესინგი“ — „ლენი“ 1:0, „ნანტი“ — „ოსერი“ 0:0, „ნიცა“ — „მეცი“ 0:0, „კანი“ — „ნიორი“ 2:1, „ბორდო“ — „სენ ჟერმენი“ 0:0, „ტულონი“ — „ტულუზა“ 1:0, „ლილი“ — „მონპელიე“ 3:1, „ბრესტი“ — „ლე პავრი“ 3:1.

„მონაკო“	25	35-15	37
„რესინგი“ (პარიზი)	25	31-24	34
„ბორდო“	25	32-21	33

ესპანეთი

25-ე ტური. „კადისი“ — „ლოგრონესი“ 0:0, „მალიორკა“ — „ვიგო“ 0:0, „საბადელი“ — „ბეტისი“ — 2:1, „ატლეტიკო“ (მადრიდი) — „ბარსელონა“ 0:2, „ატლეტიკი“ (ბილბაო) — „მურსია“ 1:2, „ვალენსია“ — სანსებასტიანი“ 0:1, „ესპანიოლი“ — „ვალიადოლიდი“ 4:2, „სევილია“ — „რეალი“ 1:1, „ლას პალმასი“ — „ხიხონი“ 5:2, „პამპლონა“ — „სარაგოსა“ 4:1.

„რეალი“	25	64-17	41
„ათლეტიკო“ (მად.)	25	45-21	35
„სან-სებასტიანი“	24	42-18	35
„ატლეტიკი“ (ბილბ.)	25	37-28	31

გფრ

21-ე ტური. „ბაიერნი“ — „ჰამბურგი“ 6:0, „უერდინგენი“ — „კოლონი“ 1:1, „ბოხუმი“ — „ვერდერი“ 0:1, „კაიზერსლაუტერნი“ — „შალკე 04“ 5:2, დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

„ვერდერი“	21	38-9	35
„ბაიერნი“	21	52-28	31
„კოლონი“	21	35-17	30

ჰოლანდია

24-ე ტური. „ფეიენოორდი“ — „სპარტა“ 5:1, „ვოლენდამი“ — „ეინდჰოვენი“ 1:6, „დენ ბოში“ — „დენ ჰააგი“ 1:0, „ჰარლემი“ — „გრონინგენი“ 0:1, „ვენლო“ — „დორდრეჰტი“ 1:3, „სიტარდი“ — „ტვენტე“ 1:0, „აიაქსი“ — „უტრეჰტი“ 1:0, „ტილბურგი“ — „როდა“ 2:2, „ცვოლე“ — „ალკმაარი“ 1:2.

„ეინდჰოვენი“	22	43
„აიაქსი“	24	35
„ტილბურგი“	24	28

ბელგია

23-ე ტური. „ანდერლეხტი“ — „ბეერსკოტი“ 1:2, „სენტ-ტრიუდენი“ — „მეხელენი“ 0:0, „ანტვერპენი“ — „ბრიუგე“ 2:0, „ბეევრენი“ — „ვარეგემი“ 3:0, „გენტი“ — „ვინტერსლაგი“ 4:2, „რესინგი“ (ბრიუსელი) — „შარლერუა“ 2:1.

„კორტრიკი“	23	35
„სტანდარდი“	23	35
„ბრიუგე“	23	33



ვახტანგ კუციას ნახატები.



თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(წერეთლის გამზირი № 2)

11 მარტი, ფეხბურთი, სსრ კავშირის ჩემპიონატი „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი)

დასაწყისი 19 საათზე.

მატჩზე დასასწრები და ფეხბურთის ლატარიის ბილეთები სტადიონის სალაროებში გაიყიდება 8 მარტიდან, ხოლო ორგანიზაციებში — 9 და 10 მარტს. სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

იმასთან დაკავშირებით, რომ თამაშის დაწყებამდე 1 საათით ადრე შეწყდება ლატარიის ბილეთების გაყიდვა, გთხოვოთ დროულად იზრუნოთ მათ შესაძენად.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 ~~6 7 8 9~~ 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05226

digitized by Google